



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
 მცხეთის მუნიციპალიტეტის მერია
 G E O R G I A
 M T S K H E T A M U N I C I P A L I T Y C I T Y H A L L



ბრძანება:ბ34.34211412

თარიღი:21/05/2021

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის შიდა აუდიტის განყოფილების III რანგის მე-3 კატეგორიის უფროსი სპეციალისტის ვაკანტური პოზიციის თაობაზე მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა ვებგვერდსა და ადმინისტრაციულ შენობაში ინფორმაციის გამოქვეყნების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მესამე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საჯარო სამსახურის შესახებ“ 47-ე მუხლის პირველი, მეორე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 48-ე მუხლის პირველი პუნქტის და მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილების III რანგის მე-3 კატეგორიის უფროსი სპეციალისტის ლია ჩალაძის პირადი განცხადების (N04-3421138109, 18.05.2021წ.) საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ე:

1. მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის შიდა აუდიტის განყოფილების III რანგის მე-3 კატეგორიის უფროსი სპეციალისტის ვაკანტურ პოზიციაზე გადაყვანის მსურველი მოხელის გამოსავლენად, გამოქვეყნებულ იქნეს ინფორმაცია მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის ვებგვერდზე და მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ შენობაში.
2. განაცხადის წარდგენის ვადად განისაზღვროს 2 სამუშაო დღე.
3. ბრძანება ძალაშია გაცნობისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, გაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში, მცხეთის რაიონულ სასამართლოში (მის.: ქ.მცხეთა, სამხედროს ქ.#17).

გიორგი კაპანაძე

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

